

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებული პროგრამების „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ და „მემცენარეობის დარგის განვითარების მიზნით კვლევები და პრევენციული ღონისძიებების“ ფარგლებში გაწეული იქნა შემდეგი მომსახურებები:

❖ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ქვეპროგრამების ფარგლებში:

- „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, ტექნიკის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებულია:

98 ერთეული მოტობლოკი 7 ცხ.დ. ძალამრთმევი ლილვით (თანმხლები აგრეგატები: ფრეზი-კულტივატორი, გუთანნი, ნიადაგჩამჭიდი თვლები, რეზინის საბურავები, კარტოფილის ამომთხრელი, მიწის შემომყრელი) საერთო ღირებულება 289 100 ლარი, ერთეულის ღირებულება - 2950 ლარის, ფერმერის წილი - 885 ლარი.

48 ერთეული 7 ცხ.დ. ძალამრთმევი ლილვით (თანმხლები აგრეგატები: სათიბელა, ფრეზა-კულტივატორი, გუთანნი, ნიადაგჩამჭიდი თვლები, რეზინის საბურავები, კარტოფილის ამომთხრელი, მიწის შემომყრელი) საერთო ღირებულება 202 000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 4208,33 ლარის, ფერმერის წილი - 1262,50 ლარი.

10 ერთეული 11 ცხ.დ. ძალამრთმევი ლილვით (თანმხლები აგრეგატები: სათიბელა, ფრეზა-კულტივატორი, გუთანნი, ნიადაგჩამჭიდი თვლები, რეზინის საბურავები, კარტოფილის ამომთხრელი, მიწის შემომყრელი) საერთო ღირებულება 53 200 ლარი, ერთეულის ღირებულება - 5320, ფერმერის წილი 1596 ლარი.

200 ერთეული ცოცხალი გამწევი ძალის გუთანნი; საერთო ღირებულება 70 000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 350 ლარი, ფერმერის წილი - 105 ლარი (ამ ეტაპზე გასაცემია 5 ერთეული ცოცხალი გამწევი ძალის გუთანნი).

1000 ცალი (500 წყვილი) ცოცხალი გამწევი ძალის გუთანის სახნისები, საერთო ღირებულება 16 000 ლარი, ერთეულის ღირებულება - 16 ლარი, ფერმერის წილი 4,80 ლარი (ამ ეტაპზე გასაცემია 26 წყვილი ერთეული ცოცხალი გამწევი ძალის გუთანის სახნისი).

- „სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, საქონლის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებულია:

100 ერთეული 50 კვ.მ-იანი სასათბურე კონსტრუქცია (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი), საერთო ღირებულებით 194 000, ერთეულის ღირებულება 1940, ფერმერის წილი - 508 ლარი.

- „ბოსტნეული კულტურების ელიტური სარგავი მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსებით ჩითილის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის

შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა ბოსტნეული კულტურების სხვადასხვა ჯიშის 3 064 700 ცალი ჩითილი, საერთო ღირებულება 521 000 ლარი, კერძოდ: 1 030 000 ცალი პომიდორი, საერთო ღირებულება 175 100 ლარი, ერთეულის ფასი - 0,17, ფერმერის წილი 0,05 ლარი.

965 000 ცალი კიტრი, საერთო ღირებულება 164 050 ლარი, ერთეულის ფასი - 0,17, ფერმერის წილი 0,05 ლარი.

678 000 ცალი ბულგარული წიწაკა, საერთო ღირებულება 115 260 ლარი, ერთეულის ფასი - 0,17, ფერმერის წილი - 0,05 ლარი.

391 705 ცალი ბადრიჯანი, საერთო ღირებულება 66 590 ლარი, ერთეულის ფასი - 0,17, ფერმერის წილი - 0,05 ლარი.

- „**მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა**“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსებით ნერგის ღირებულების 40%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა 36 750 ცალი ნერგი, საერთო ღირებულება 99 700 ლარი, კერძოდ:

20 000 ცალი თხილის ნერგი, საერთო ღირებულება 10 000 ლარი, ერთეულის ფასი - 0,50 ლარი, ფერმერის წილი 0,20 ლარი.

4000 ცალი სუბტროპიკული ხურმის ნერგი, საერთო ღირებულება 14 000 ლარი, ერთეულის ფასი - 3,50 ლარი, ფერმერის წილი 1,40 ლარი.

2000 ცალი მოცვის ნერგი, საერთო ღირებულება 12 000 ლარი, ერთეულის ფასი - 6 ლარი, ფერმერის წილი 2,40 ლარი.

4000 ციტრუსის ნერგი, საერთო ღირებულება 16 000 ლარი, ერთეულის ფასი - 4 ლარი, ფერმერის წილი 1,60 ლარი.

3000 კივის ნერგი, საერთო ღირებულება 8 700 ლარი, ერთეულის ფასი - 2,90 ლარი, ფერმერის წილი 1,16 ლარი.

3750 ცალი კაკლის ნერგი, საერთო ღირებულება 39 000 ლარი, ერთეულის ფასი - 10,40 ლარი, ფერმერის წილი 4,16 ლარი.

- „**მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის**“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებს თანადაფინანსების პრინციპით, ღირებულების 40 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა:

960 ერთეული ფუტკრის სკა (დადანბლანტის სტრუქტურით (დადანბლანტის სკის სახურავი; სკის ძირი ბადით (Bottom); დადანბლანტის სკის ძირითადი და დამატებითი კორპუსი (გათვლილი 10-10 ჩარჩოზე 435X300 მმ) ჩარჩოს გარეშე; დედის გამოყოფის და გამრავლების (ნაყარი) საწინააღმდეგო ჩარჩო ბადით; სკის ძირის ჩამკეტი, ვაროას შესამოწმებელი; მისაფრენის ჩამკეტები; დადანბლანტის სკის მისადგამი საკვებური), საერთო ღირებულება 198 005 ერთეულის ღირებულება 206,2552 ლარი, ფერმერის წილი - 82,50 ლარი.

- „**სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზების**“ ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 5 საპილოტე სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება, საერთო ღირებულება 79 000 ლარი, ერთეულის ღირებულება 15 800 ლარი.

❖ „მემცენარეობის დარგის განვითარების მიზნით კვლევები და პრევენციული ღონისძიებების“ პროგრამის ქვეპროგრამების ფარგლებში:

- „ნიადაგის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევის“ ქვეპროგრამის ფარგლებში პირველ ეტაპზე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აღებული იქნა ნიადაგის 2000 ნიმუშები, აღებულ ნიმუშებზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა (ნიადაგში ძირითადი მაჩვენებლების N; P; K; pH; ჰუმუსის განსაზღვრა) და ფერმერთათვის მიწოდებული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, საერთო ღირებულებით 69 900 ლარი, ხოლო მეორე ეტაპზე თვითმმართველი ქალაქ ბათუმის, ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტში აღებული იქნა ნიადაგის 3500 ნიმუში, აღებულ ნიმუშზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა (ნიადაგში ძირითადი მაჩვენებლების N; P; K; pH; მჟავიანობის, ჰუმუსის განსაზღვრა) და ფერმერთათვის მიწოდებული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, საერთო ღირებულებით 174 125 ლარი, ერთეული ფასი - 49,75 ლარი.

- „პესტიციდების და აგროქიმიკატების ლაბორატორიული კვლევის“ ქვეპროგრამის ფარგლებში სარეალიზაციო ობიექტებიდან აღებული და გამოკვლეული იქნა პესტიციდების და აგროქიმიკატების 100 ნიმუში, საერთო ღირებულება 12 000 ლარი, კერძოდ:

- 8 ერთკომპონენტური აგროქიმიკატი აზოტის შემცველობით, ერთეული ფასი 53.4 ლარი.
- 8 ერთკომპონენტური აგროქიმიკატი კალიუმის შემცველობით, ერთეული ფასი 53.4 ლარი.
- 8 ერთკომპონენტური აგროქიმიკატი ფოსფორის შემცველობით, ერთეული ფასი 53.4 ლარი.
- 8 ორკომპონენტური აგროქიმიკატი აზოტისა და ფოსფორის შემცველობით, ერთეული ფასი 93.4 ლარი.
- 8 სამკომპონენტური აგროქიმიკატი აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის შემცველობით, ერთეულის ფასი 133.4 ლარი.
- 30 ქიმიური ნაერთების კლასის ერთკომპონენტური პესტიციდები, ერთეულის ღირებულება 103.4 ლარი.
- 30 ქიმიური ნაერთების კლასის ორკომპონენტური პესტიციდები, ერთეულის ფასი 193.4 ლარი.

- „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებზე დიაგნოსტიკა და პრევენციულ ღონისძიებებზე ფერმერთა კონსულტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის მიხედვით შერჩეულ 40 საკვლევ ობიექტზე ერთწლიან და მრავალწლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების დიაგნოსტიკა, შემუშავდა მათთან ბრძოლის ღონისძიებები და ფერმერებზე სავსებით სემინარების ჩატარების გზით (მათ შორის, 2000 ერთეული სარეკომენდაციო-საცნობარო ტრიპლეთის გაცემა) გაწეული იქნა რეკომენდაციები, საერთო ღირებულება 45 000 ლარი, ერთეულის ფასი 1 125 ლარი.

მიმდინარე წელს სამინისტროს 2011 წლის მიზნობრივი პროგრამის „მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით, ტექნიკის ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის საფუძველზე მიმდინარეობს ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატების (ძრავიანი) გაცემა, საერთო ღირებულება 111 900 ლარი, ერთეულის ღირებულება 438,224 ლარი, ფერმერის წილი 131,47 ლარი.